შეეშვი, მე ისინი სისუფთავის დროს (აბდესის აღების შემდეგ) ჩავიცვი

ალ-მუღირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს: ერთხელ ერთერთი მგზავრობის დროს შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთად ვიყავი და გადავწყვიტე მისთვის ფეხსაცმელი გამეხადა, მან კი თქვა: «შეეშვი, მე ისინი სისუფთავის დროს (აბდესის აღების შემდეგ) ჩავიცვი», და მათზე მასჰი გააკეთა (სველი ხელით მაღლიდან შეიწმინდა).

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთერთ მგზავრობაში იმყოფებოდა და აბდესი აიღო. და როცა ფეხების დაბანაზე მივიდა ალ-მუღირა იბნ შუ'ბამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ხელი გაიწვდინა, რომ შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ტყავის წინდები გაეძრო და რომ მისი ხელები დაებანა. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: დატოვე ისინი, არ მოხსნა, რადგან მე ეს ხუფები (ტყავის წინდები) რიტუალური სისუფთავის მდგომარეობაში ჩავიცვი, შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ფეხების დაბანის ნაცვლად მათზე მესი გაიკეთა.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3014

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee